პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 228 (11839)
პარასკევი,
30
სექტემბერი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ახალი ეროვნული გამარჯვება

ტყიბული, 29 სექტემბერი. (საქდესი). ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულა ცხრა თვის საწარმოო პროგრამა. მთელი რიგი რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის, შრომითი პროცესების მექანიზაციის, მასალების მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად მიღებულია მილიონ-ნახევარ მანეთზე მეტი ეკონომია. ეს თანხა შეტანილია შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში.

კალინინის სახელობის, ლენინის სახელობისა და გელათის შახტების კოლექტივებმა ათასობით ტონა ქვანახშირი ამოიღეს ოქტომბრის ნაგვარიშში.

ქასპის რაიონის მშრომელებმა 24 სექტემბერს 100,2 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის თესლოვანი ნაყოფის მიყიდვის წლიური გეგმა.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

საპარლამენტთაშორისო კავშირის 49-ე კონფერენციისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 28 სექტემბერს ნიუ-იორკიდან მისასალმებელი წერილი გაუგზავნა საპარლამენტთაშორისო კავშირის 49-ე კონფერენციის მონაწილეებს, რომლებიც იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში შეიკრიბნენ.

საბჭოთა მთავრობის მეთაური იმედს გამოთქვამს, რომ კონფერენცია მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც წვლილს შეიტანენ განიარაღების ტვირთისაგან ხალხთა განთავისუფლებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამჟამად, როცა განიარაღების პრობლემის განხილვა განსაკუთრებით პასუხსაგებ სტადიაში შევიდა, ყველაზე დიდმნიშვნელოვანია, რომ ყველა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის განმტკიცებით, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი ამ პრობლემის გადაჭრას. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი იყო დარბაზობაზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე მთელი რიგი დელეგაციების მეთაურთა პატივსაცემად გამართა ნეპალის პრემიერ-მინისტრმა ბ. პ. კოირალამ. სტუმრებს შორის დარბაზობაზე იყო აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური იანოშ კადარი.

ნ. ს. ხრუშჩოვი გუშინ აგრეთვე იყო დარბაზობაზე, რომელიც მაროკოს დელეგაციის მეთაურმა პრინცმა ჰასანმა გამართა.

მღელვარე ფურცლები

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის გამომცემლობამ „ოროს კარენტს პრესმა" გამოაქვეყნა ბროშურა, რომელშიც შევიდა სრული ტექსტი ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, სსრ კავშირის მთავრობის განცხადება განიარაღების საკითხზე, საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი, რომლებიც სსრ კავშირმა წარადგინა სესიის განსახილველად, აგრეთვე საბჭოთა პროექტი დეკლარაციისა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოქვეყნება ასახავს ამერიკის საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლისადმი, რომელიც მიეძღვნა თანამედროვეობის ყველაზე საარსებო პრობლემებს, ასახავს ინტერესს სსრ კავშირის წინადადებებისადმი განიარაღების დარგში.

ბროშურის მოკლე ბოლოსიტყვაობაში, კერძოდ, აღნიშნულია: „ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინაშე და წინადადებებს. რომლებიც მას ახლავს. დიდი შედეგები მოჰყვება მომავალ წლებში. ყოველი მოაზროვნე ადამიანი უნდა გაეცნოს ამ ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებშიც გამოთქმულია ორი დიდი მსოფლიო სახელმწიფოთაგან ერთ-ერთის პოლიტიკური ხაზი".

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გამომცემლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბროშურის პირველი გამოცემა (50 ათასი ცალი) „განსაკვირებელი სისწრაფით" იყიდება, მიუხედავად იმისა, რომ სარეკლამო განცხადება ბროშურის გამოქვეყნების შესახებ ჯერ არ დაბეჭდილა ამერიკის პრესის ფურცლებზე.

ამერიკელ მუშებს სსრ კავშირთან მეგობრობა სურთ

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის პროფკავშირებია კომიტეტმა, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, გამოაცხადა, რომ გაზრახული აქვს 3 ოქტომბერს მოაწყოს „მისასალმებელი დემონსტრაცია" გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა წარმომადგენლობის რეზიდენციასთან პარკ-ავენიუზე ნიუ-იორკში.

კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება პრესისათვის, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ, პროფკავშირების როგორმა წევრებმა, რომლებსაც მიგვაჩნია, რომ პროფკავშირები დაინტერესებული არიან ცივი ომის ლიკვიდაციით, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობით და განიარაღებით, სამი ოქტომბრის ორშაბათის საღამოს 5 საათისათვის დავნიშნეთ მისასალმებელი დემონსტრაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციათა საბჭოთა კავშირის საელჩოსთან 68-ე ქუჩისა და პარკ-ავენიუს კუთხეში.

იმედი გვაქვს გავაცნობთ პრემიერ ნიკიტა ხრუშჩოვს, თუ რა აზრის არიან რიგითი პროფკავშირული მუშაკები იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესახებ, რომლებსაც ახლა გენერალური ასამბლეა განიხილავს.

მისასალმებელი დემონსტრაცია იმიტომ არის მოწვეული, რომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხრუშჩოვის წინადადებებს განიარაღებისა და კოლონიათა თავისუფლების შესახებ, რომლებსაც მხარი დაუჭირეს კასტრომ და სხვებმა, დიდი მნიშვნელობა აქვთ მთელი მსოფლიოსათვის და საჭიროა მათი განხილვა მეგობრულ ვითარებაში.

ჩვენ, როგორც პროფკავშირების წევრები, შეწუხებული ვართ იმით, რომ ამერიკის პროფკავშირული მოძრაობის ხელმძღვანელი ჯორჯ მინი შეუერთდა პრეზიერ ხრუშჩოვზე ცივი ომის ხასიათის თავდასხმებს.

ამერიკელი მუშები რეალურად არიან დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობით და საყოველთაო მშვიდობის სავსებით რეალური პრობლემების განხილვით, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთგაგების მიღწევით.

მინის პოზიცია იმას ნიშნავს, რომ იგი უგულებელყოფს ამერიკელი მუშების უმნიშვნელოვანეს ინტერესებს, მუშებისა, რომელთაგან 4 მილიონს არა აქვს სამუშაო და რომლებიც მხოლოდ მოიგებენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებით. მუშებს და მათ ოჯახებს ყველაზე მეტად დააზარალებს ატომური კატასტროფა და ამიტომ მათ ჰაერივით ესაჭიროებათ მშვიდობა.

კამათი გენერალურ ასამბლეაში სწორედ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ბევრმა უცხოელმა სახელმწიფო მოღვაწემ და იმ სახელმწიფოს მეთაურმა, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, დააყენეს ეს პრობლემები და მიიყვანეს წინაშე დასახეს მათი გადაჭრის მისაღწევი გზა.

ჩვენ, როგორც მუშები, ღრმად ვართ დაინტერესებული კოლონიური უღლისაგან ყველა ქვეყნის განთავისუფლებით და იმით, რომ ყველა ქვეყანას უფლება ჰქონდეს აირჩიოს თავისი საკუთარი მთავრობა, როგორც, მაგალითად, კუბაში და კონგოში.

და სათვალაით უკანასკნელი, მაგრამ სრულიადაც არა ნაკლებად მნიშვნელოვანი მომენტი ის არის, რომ ჩვენ, როგორც ნიუ-იორკის—იმ ქალაქის მცხოვრებნი, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა, კრიტიკულად ვეკიდებით იმას, რომ ერთმა მუჭა თავნება შფოთის თავებმა დაარღვიეს მოვალეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დელეგატების მიმართ, და შეშფოთებული ვართ უპასუხისმგებლო გამოხდომებით პრესაში საბჭოთა კავშირის, კუბისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, რადგან მეგობრული ურთიერთობის, მშვიდობისა და ვაჭრობის დამყარება ამ ქვეყნებთან სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუშას და მთ მომხრეებს შეუერთდნენ ამ მისასალმებელ დემონსტრაციას".



ნიუ-იორკი. ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. გეორგიუ-დეჟი, ტ. ჟივკოვი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნოვოტნი საბჭოთა წარმომადგენლობის შენობასთან ნიუ-იორკში.

ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. ეგოროვისა.

რას სწერენ ამერიკელები ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

მისასამართი, რომელიც მთელმა ამერიკამ იცის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრესჯგუფი იტყობინებს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობაში არის ოთახი, სადაც მაგიდები სავსეა წერილებით, რომლებიც ყოველდღე მოდის აქ ამერიკის ყველა ქვეყნიდან. ეს წერილები სხვადასხვანაირია. ზოგი სტუდენტის ჩქარი ხელით არის დაწერილი. ზოგი ნაკარნახევია უკვე ხანში შესული ადამიანის ცხოვრების დიდი გამოცდილებით. ყოველ ასეთ წერილში ჩანს ადამიანი, რომელიც ფართოდ განსჯის თავის საკუთარ, პირად დამოკიდებულებას მსოფლიო მოვლენებისადმი. არის, რასაკვირველია, მტრული წერილებიც — საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკის გამო გაბოროტებული, უკმაყოფილო ადამიანთა წერილები. მაგრამ ისინი როდი განსაზღვრავენ იმ მთავარ გარემოებას, რითაც აღელვებული არიან ახლა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქენი, რაზედაც სერიოზულად ფიქრობენ ისინი.

დიახ, ახლანდელი მოვლენები აღელვებენ ამერიკელებს. ისინი სულ უფრო აღწევენ თავს წინასწარ აკვიატებულ შეხედულებებს, აღარ სჯერთ რადიოსა და სატელევიზიო კომპანიების, ყველა ზომისა და მიმართულების გაზეთებისა და ჟურნალების სარეკლამო ხმაური. როდესაც ამ წერილებს ვფიქრობთ, ჩვენ ითქოს ვხედავთ ყოველ ამერიკელს, ვხედავთ მათ გულწრფელ სტრიქონებს, მათ ქუშმარიტ მღელვარებას, მათ მტკიცე სურვილს აღიმაღლონ ხმა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის დიადი პრინციპების დასაცავად. ხომ სწორედ წერილი აძლევს ადამიანს კარგ შესაძლებლობას მარტო დარჩეს თავის თავთან და ილაპარაკოს ისე, როგორც სურს, მოიფიქროს ყველაზე სუფეთესო არგუმენტები, ყველაზე ძლიერი მოსაზრებანი.

რას სწერენ ამერიკელები ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს? რა არის იმ წერილებისა და დეპეშების დედააზრი, რომლებიც განუწყვეტლივ მოდის აქ ამერიკის ქალაქებიდან და ფერმებიდან? რა მოკლე სახელწოდებით შეიძლება გავაერთიანოთ ეს წერილები ერთ უზარმაზარ წერილად, რომლის გამოცემას, ალბათ, ბევრი ტომი დასჭირდებოდა? ეს არის წერილები ომისა და მშვიდობის შესახებ, იმ დიდი პრობლემის შესახებ, რომელიც უკვე საუკუნეებია აღელვებს მწერლებსა და მოაზროვნეებს, საზოგადო, პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს და რომელიც რა თქმა უნდა, აღელვებს ყოველ ჩვეულებრივ ან, როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე, უბრალო ადამიანს.

ომისა და მშვიდობის თემა ყოველთვის სხვადასხვანაირად ეღერს. მეცხრამეტე საუკუნემ მას მისცა თავისი კანონები და ფასი თავისი გამოცანა. ჩვენს საუკუნეში ეს პრობლემა გავრცელდა ყოველფერზე და მთელ ჩვენს ცხოვრებაზე; ყოველ წუთში, ყოველ საათში ხალხთა მასებში იზრდება იმის შეგნება, რომ საჭიროა საერთო სახალხო გადაიჭრას ის საკითხი. თუ როგორ მოვაწყოთ საქმეები დედამიწაზე შემდეგში, როგორ ავიცდინოთ თავიდან თერმოატომური ომის კოშმარი.

მართალი არ არის, რომ ჩვენი მეოცე საუკუნე, ატომისა და მთვარის რაკეტის საუკუნე, როგორც ბურჟუაზიული ფილოსოფოსები მსჯელობენ, „გონებისა და აზრის დაკნინების" საუკუნეა. ის წერილები, რომლებსაც აქ მოვიყვანთ, — ამ ცინიკურ შეხედულებათა აბსურდულობის შესანიშნავი დადასტურებაა. დიახ, წავიდა ის დრო, როცა „რჩეულების" ხელში იყო მსოფლიოს ბედ-იღბალი. როცა აქ, ნიუ-იორკში მიღებულ ამერიკელთა წერილებს ვკითხულობთ, აშკარად ვხედავთ, რომ ამერიკელებსაც, რომლებსაც, ცოდვა გამქღავნებული სჯობს, საკმაოდ დიდი ხანია ყოველი საშუალებით მიჯნავდნენ მღელვარე ცხოვრებისაგან, — ესმით, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება.

ვიმეორებთ, ჩვენ ვერ დავბეჭდავდით გაზეთებში იმ წერილების მეასედ ნაწილსაც კი, რომლებიც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა მიიღო. მოვიყვანთ მთლიანად მხოლოდ ერთ წერილს, იმიტომ, რომ იგი განსაზღვრავს ძალიან ბევრს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამერიკულ ფოსტაში.

ეს წერილი, ისევე როგორც სხვა წერილები, რომლებზედაც ქვემოთ გესაუბრებით, განსაკუთრებულ კომენტარებს არ საჭიროებს. წერილები თავისთავად მეტყველებენ. საჭიროა მხოლოდ ჩავუკვირდეთ მათ სტრიქონებს.

„ძვირფასო მეგობარო ხრუშჩოვ!

როგორც მუშას, პროლეტარსა და მწერალს, ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩემი აღტაცება თქვენი წიგნით „გამარჯვებისათვის კაპიტალიზმთან მშვიდობიან შეჯიბრებაში", რომელიც გზას უკაფავს მშვიდობასა და სიმართლეს. ეს წიგნი მკაფიოდ გვიჩვენებს სოციალიზმის ჰუმანურ ლოგიკას და მისთვის დამახასიათებელ მისწრაფებას მშვიდობისადმი და სამართლიანად გმობს კაპიტალიზმის მტაცებლურ და სისხლიან მეთოდებს, რომლებიც ომის ფსიქოზს აღვივებენ.

დაე ჩემი წერილი გახდეს ორი მუშის მისალმება. დაე ამ წერილმა სიმბოლურად გამოხატოს მუშათა კლასის მეგობრობა, მშვიდობა, პროგრესი და სოლიდარობა. როგორც მუშა მუშას მე მივესალმები თქვენს ჩამოსვლას გენერალურ ასამბლეაზე, თქვენს დაუცხრომელ მისწრაფებას მშვიდობისადმი. დაე ყოველი თქვენი სიტყვა ბრწყინავდეს და ამაოდ-ლებდეს სულელურ სიცრუეს, რომელსაც დრომოჭმული გაბოროტებული კაპიტალისტური მმართველები წარმოშობენ.

შეერთებული შტატების მოაზროვნე მუშები თქვენთან არიან. მშვიდობის, პროგრესის, სოციალიზმისა და კომუნიზმის ძალები თქვენთან არიან.

გაუმარჯოს მუშა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს სსრ კავშირს — მუშათა კლასის პირველ და უდიდეს ქვეყანას! გაუმარჯოს პრემიერ ხრუშჩოვს — ჩემს ძმას! მშვიდობასა და სოციალიზმისათვის!

რობერტ ჯოზეფ ბეროსი".

რობერტ ჯოზეფი წერს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, მაგრამ ისევე, როგორც მის წერილში, საბჭოთა მთავრობის მეთაურისადმი უშუალოდ მიმართული სტრიქონები, ამასთანავე მიმართულია მთელი საბჭოთა ხალხისადმი, ყველა საბჭოთა ადამიანისადმი. როცა ამერიკელები მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს, ისინი ამით სალამს უთვლიან ყველა საბჭოთა ქალსა და კაცს, ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომელთა ინტერესებს გამოხატავს და იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური.

სწორედ ეს არის ნათქვამი ნიუ-იორკელი **რეჯინო მენტესის** წერილში. „ბევრ ამერიკელს მიანიჭარათ თქვენ, ბ-ნო ხრუშჩოვ, იმ ქვეყნის შესანიშნავ ხელმძღვანელად, რომლის ხალხს, ისევე, როგორც ჩვენ, ამერიკის უბრალო ადამიანებს, სურს მშვიდობა და აყვავება.

ზოგიერთმა შეიძლება ცუდი რამ იფიქროს თქვენს შესახებ, — წერს შემდეგ წერილის ავტორი. — მე დავინახე ბოროტი ადამიანები. რომელთაც ეკავათ პლაკატები „ხრუშჩოვ, წადი შინ!". ვფიქრობ, რომ ისინი დაშინებული არიან, და მე გულწრფელად მწამს, რომ ასეთები ცოტაა. შეგიძლიათ თუ არა გაუფანტოთ მათ შიში? ბევრ ჩვენგანს მიაჩნია, რომ თქვენ ეს შეგიძლიათ. ბევრი ჩვენგანი მოხარულია, რომ თქვენ დახმარებას უწევთ კუბას. ბევრ ჩვენგანს, ლოიალურ ამერიკელებს, რომელთაც გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, მიგვაჩნია, რომ თქვენ იმსახურებთ მსოფლიო ხელმძღვანელობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად. თანაარსებობა არა მარტო შესაძლებლობა, არამედ ცხოვრებისეული აუცილებლობაა. მე ძლიერ ახალგაზრდა ვიყავი, რომ მონაწილეობა მივიღე მეორე მსოფლიო ომში, მაგრამ კორეის ომმა დამარწმუნა, თუ რამდენად უაზრო და უსარგებლო შეიძლება იყოს ომი. მე ითქმის არასდროს „არ მომლოდა საფრთხე" ავიმაზიდზე, სხვებს კი ნაკლებ გაუმართლა. საბატიო მშობლიური ქვეყნისათვის თავის განწირვა მხოლოდ მაშინ, როცა მშვიდობა რაღაცას ნიშნავს და როცა იცი, რომ იგი არ იქნება დარღვეული და იზიმებს.

მე აღფრთოვანებული ვარ რუსული ხელოვნების ოსტატებით, თქვენი ბალეტით, თქვენი მწერლებით და მიმაჩნია, რომ თქვენ ხართ დიდი ჭკუის ადამიანი და შესაძლებლობას არ გაუშვებთ, რათა განმტკიცოთ კეთილი ნება. მე მგონია, რომ ვიცნობ თქვენს ხალხს, იგი ხომ ჩვენს ხალხს ჰგავს. ვფიქრობ, რომ აქ ყოფნის დროს თქვენ დიდ საქმეს გააკეთებთ. გისურვებთ წარმატებებს და ერთხელ კიდევ მოგესალმებით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გულწრფელად თქვენი რეჯინო მენტესი".

„გულწრფელად თქვენი", „გულწრფელი პატივისცემით". არა, გულგრილ დიპლომატიურ კალმის მოსმას როდი გამოჰყავს ეს დასკვნითი სტრიქონები ასობით და ასობით წერილებში. ეს სტრიქონები დაწერილია არა ნაუცბათევად, არა იმ მისწრაფებით, რომ თავაზიანობა გამოხატოს სტუმრის მიმართ. თუმცა, თვითონვე გასაჯეთ. აი, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ქალბატონ **რაშელ ბალასის** წერილიდან: „მოგესალმებით თქვენ და თქვენი დელეგაციის სხვა წევრებს. ჩვენ ვერ შევძელით თქვენი ნახვა; სამჯერ შევეცადე დამენახეთ და მოგესალმებოდით, მაგრამ, წვიმაში რომ გავიწუწე, იძულებული გავხდი შინ წავსულიყავი".

ქალბატონი რაშელ ბალასი ბევრ რამეზე წერს თავის წერილში. იმის შესახებაც, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის აქ ჩამოსვლა „ჰგავდა სუფთა ჰაერის ტალღას, რომელმაც გადაუარა ფუღლებისათვის გაგიეებულ ამ ქალაქს". იგი ამბობს, რომ საკვლევით ეთანხმება საბჭოთა დელეგაციის აზრს განიარაღების, კოლონიური მონობის მოსპობისა და ბევრ სხვა პრობლემებზე. მაგრამ გულდასმით ჩაიკითხეთ რაშელ ბალასის ეს სიტყვები: „ზოგჯერ მე ვფიქრობ, რომ კაცობრიობა ღირსი არ არის იმ ბრძოლისა, რომელსაც თქვენ აწარმოებთ მისი სახელით",

რაოდენ მძიმე იყო ამ ამერიკელი ქალისათვის გამოეთქვა ასეთი სიტყვები. რა დიდი გულგატეხილობა და პესიმიზმი იგრძნობა იმ ოთახში, სადაც ეს ამერიკელი ქალი ცხოვრობს. **„კაცობრიობა იმ ბრძოლის ღირსი არ არისო...".**

როცა წავიკითხეთ ეს სტრიქონები, უნდოლიეთ გაეფიქრეთ: ალბათ რა უხეშად გაუბედურა ცხოვრებამ ეს ქალი, თუ იგი ასე მოუცავს ადამიანთა მიმართ უნდობლობას.

მაგრამ ადამიანისათვის დამახასიათებელია ბოლოს და ბოლოს იქონიოს საუკეთესოს იმედი, რადგანაც ასეთი რწმენის უქონლად ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია. წერილის კიდეზე რაშელ ბალასმა მიაწერა ხალისიანი, და რაც მთავარია — ჯანსაღი და აქტიური აზრი. „პატივცემულო პრემიერო, იცოდეთ, რომ მსოფლიოს უბრალო ადამიანებს უყვარხართ და პატივს გცემენ თქვენ. ისინი არასოდეს არ გამოვლენ თქვენს წინააღმდეგ. მე ძლიერ მინდა ჩამოგართვათ ხელი და როგორმე მისწრაფებას მშვიდობისადმი. დაე ყოველი თქვენი სიტყვა ბრწყინავდეს და ამაოდ-ლებდეს სულელურ სიცრუეს, რომელსაც დრომოჭმული გაბოროტებული კაპიტალისტური მმართველები ნარმოშობენ.

შეერთებული შტატების მოაზროვნე მუშები თქვენთან არიან. მშვიდობის, პროგრესის, სოციალიზმისა და კომუნიზმის ძალები თქვენთან არიან.

გაუმარჯოს მუშა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს სსრ კავშირს — მუშათა კლასის პირველ და უდიდეს ქვეყანას! გაუმარჯოს პრემიერ ხრუშჩოვს — ჩემს ძმას! მშვიდობასა და სოციალიზმისათვის!

რობერტ ჯოზეფ ბეროსი".

რობერტ ჯოზეფი წერს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, მაგრამ ისევე, როგორც მის წერილში, საბჭოთა მთავრობის მეთაურისადმი უშუალოდ მიმართული სტრიქონები, ამასთანავე მიმართულია მთელი საბჭოთა ხალხისადმი, ყველა საბჭოთა ადამიანისადმი. როცა ამერიკელები მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს, ისინი ამით სალამს უთვლიან ყველა საბჭოთა ქალსა და კაცს, ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომელთა ინტერესებს გამოხატავს და იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური.

„ძვირფასო ბატონო ხრუშჩოვ!

ოროლა ბოლოს ბ-ნ ხრუშჩოვ — თანასწორობისა და სიმართლიანობის დამცველს, სამართლიანობის სახელით გოხოვთ გათავისუფლოთ მთელი მსოფლიოს შავკანიანი ადამიანები იმ მხეცის უღლისაგან, რომელიც მდიდრდება მონების შრომით, და გათავისუფლოთ არა მარტო შავკანიანებმა, არამედ სხვა ადამიანებიც...

მსოფლიოს მეტწილ ადამიანებს ჩემთან ერთად აქვთ მოსკოვის იმედი, იმის იმედი, რომ მისი ლენერი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი დაგმობს უსამართლობასა და არაადამიანურობას, დაგმობს მათ, ვისაც სურს ომი, მათ, ვისაც სურს მსოფლიოს დამორჩილება მომქანცველი შრომით. ყველა ადამიანი თანასწორია! ომი — გამანადგურებელი ძალაა; მშვიდობა — კონსტრუქციული ძალა".

ზანგ მუშას თავის წერილში კვერს უკრავს თეთრკანიანი ამერიკელი ქალი. „ძვირფასო ბატონო ხრუშჩოვ! გიგზავნით მოკლე ბარათს, რათა გამოვხატო შეერთებული შტატების მოქალაქის მეგობრული გრძნობანი. მე არ ეეკუთვნი კომუნისტურ პარტიას, მაგრამ კარგ ადამიანად მიმაჩნიხართ თქვენ და ვფიქრობ, რომ თქვენ გულწრფელი ხართ მშვიდობისადმი. ... ...

ჩვენს ირგვლივ ქვეყანაში

ალჩიდე ჩერვის საჩუქარი

ლენინგრადი, 27 სექტემბერი. (საკ-დესის კორესპონდენტი გ. მეელიცევი). ორი მედალი, ერთზე გამოსახულია 1848 წლის რევოლუციის პერიოდის ბარიკადული ბრძოლა და ქალი ზეაღმართული დროშით. მეორეზე — გარიბალდის და იტალიელი პარტიზანის პორტრეტები. ასეთი მედლებით საკვდილის შემდეგ დაჯილდოებულ იქნა იტალიელის ალჩიდე ჩერვის შვიდი პარტიზანი ვაჟი, რომლებიც 1943 წლის ნოემბერში დახვრიტეს შავხალათიანებმა.

დღეს ორი მედალი „გარიბალდის ხსოვნისათვის", რომლებიც ა. ჩერვიმ მოსკოვში ყოფნის დროს გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვს, გამოფენილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მუზეუმის ექსპოზიციაში, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლას ეძღვნება.

მშვიდობის, ხალხთა მეგობრობის იდეებისადმია მიძღვნილი აგრეთვე სხვა რელიკვიებიც, რომლებსაც დღეს პირველად ეცნობოდნენ მუზეუმის მნახველები. აქ არის ლითონის სინი — საჩუქარი ნ. ს. ხრუშჩოვისათვის შვეიცარიელი მეგობრებისაგან. სინზე ამოკვეთილია გამოსახულება სახლისა ციურიხში, სადაც 1917 წლის დასაწყისში ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი. მუზეუმმა მიიღო აგრეთვე აბრეშუმზე დაწერილი მისასალმებელი ადრესი ქალაქ კალუტის კორპორაციისაგან.

ლენინური სიმართლის ლამპარი

27 სექტემბერს გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მეათე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ.

ტომში შესულია ნაწარმოებები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დაწერა 1905 წლის მარტსა და ივნისში. 70 დოკუმენტი შეეხება პარტიის III ყრილობას. 43 მათგანი ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად ქვეყნდება. ლენინის მომზადებული ყრილობის რეზოლუციები, მისი გამოსვლები ყრილობაზე, ისევე როგორც ტომში შესული სხვა მასალები ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა შემოქმედებითად უდგებოდა ვ. ი. ლენინი მარქსიზმის მოძღვრებას, როგორ ავითარებდა და ამდიდრებდა იგი რევოლუციურ თეორიას ახალი დასკვნებითა და დებულებებით.

(საკდესი).

კიდევ ერთი ატომური ელექტროსადგური

ნოვო-ვორონეჟსკი (ვორონეჟის ოლქი) 27 სექტემბერი (საკდესის კორესპონდენტი ა. ლოსევი). ვლადიმერ ზაბელნიკოვის ზეინკალთა ბრიგადამ დღეს დაამთავრა წრიული ავზის საკონტროლო აწყობა. ეს უზარმაზარი ფოლადის ცილინდრი, წონით 75 ტონა იქნება ენერგეტიკული გიგანტი რეაქტორის — მშენებარე ატომური ელექტროსადგურის საყრდენი.

ეს გამარჯვება დონის ნაპირზე ცხოვრობს იმ დღეს, როცა მშვიდობიანი ატომი ელექტროენერგიას მისცემს ჩვენი სამშობლოს ფაბრიკა-ქარხნებს.

ერთიანი ბიბლიოთეკა

ამას შემდეგ, რაც დაიწყო სწავლების პოლიტექნიზაცია, თბილისის ქარხნებსა და ფაბრიკებში ხშირად ნახავთ მოსწავლეებს. ისინი საწარმოებში მოდიან, რათა მიიღონ შრომითი ჩვევები, დაეუფლონ რომელიმე პროფესიას. აი ეს ორი გოგონაც — ლილი ბერეგვაძე და დარეჯან რაზმაძე მე-18 სკოლის მოსწავლეები არიან. ისინი საწარმოო პრაქტიკას გადიან მაუდ-კამვოლის კომბინატის მაუდის წარმოების სართავ საამქროში, უფროსი ამხანაგების ხელმძღვანელობით ეუფლებიან მრთველის საინტერესო პროფესიას.

სურათზე: ლ. ბერეგვაძე (მარცხნივ) და დ. რაზმაძე სინჯავენ მათ მიერ დამზადებულ ნართს.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

კეთილი სურვილების საბჭოები

დაუგავპილსი (ლატვიის სსრ) 27 სექტემბერი (საკდესი). ტრაქტორისტი ალბერტ დაუკშტე დღეს აღნიშნავს თავისი დაბადების 25 წლისთავს. დილით მის ნაკვეთს მოტოციკლი მიადგა.

საბჭოთა მეურნეობის ბუღალტერი ვიოლეტმინა ბრამანე ტრაქტორისტს სასოგრად აძლევს ლექსების წიგნს, რომლის პირველ გვერდზე წარწერილია: „ალბერტ დაუკშტეს მისი დაბადების 25 წლისთავზე. გულთბილად მოგილოცავთ, გისურვებთ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას. პ. სტუჩკას სახელობის საბჭოთა მეურნეობის კეთილი სურვილების საბჭო".

კეთილი სურვილების საბჭო საბჭოთა მეურნეობაში ნახევარი წლის წინათ შეიქმნა. მისი მიზანია ბედნიერება მოუტანოს ადამიანებს.

დღეს საბჭოთა მეურნეობაში მნიშვნელოვანი ამბებია. დაბადების დღეს აღნიშნავენ მუშები: კ. კამპანი, მ. ივანოვი, ა. დაუკშტე, მ. სუბასტიანლა და ე. ივანოვი. საბჭოთა მეურნეობის ოჯახს არმიიდან დაუბრუნდა ტრაქტორისტი სტანისლავ გუტი. ყველა მათგანს კეთილი სურვილების საბჭოს წევრებმა გადასცეს ყვავილები, წიგნები, ღიმა ბარათები გულთბილი მისალმების სიტყვებით.

სწრაფმავალი ტრაქტორი

ხარკოვი, 27 სექტემბერი. (საკდესის კორ. ა. პოტაპოვი). საბჭოთა ტრაქტორმშენებლობის ერთ-ერთმა პირმშომ—ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ დღეს დაიწყო სწრაფმავალი მუხლუხა ტრაქტორის „ტ-75" მასობრივი წარმოება.

ეს მანქანა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით ბევრად სჯობს ამჟამად წარმოებიდან მოხსნილ ტრაქტორს „დტ-54". მათი საერთო წონა ერთნაირია, ამავე დროს „ტ-75" ტრაქტორს ოცდაერთი ცხენის ძალით მეტი სიმძლავრე აქვს, ხოლო ერთი ჰექტარი მიწის დამუშავებაზე ხარჯავს 12 პროცენტით ნაკლებ საწვავს. შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების შედეგად ყოველი ტრაქტორი „ტ-75" წელიწადში ათი ათას მანეთამდე დაზოგავს.

2 ოქტომბერი ჩაის უხვი მოსავლის დღესასწაულის დღეა

გალშიაც იზეიმებენ

ბალის რაიონის მეჩაიეები გულდასმით გაეცნენ ზუგდიდელ მეჩაიეთა მიმართვას — 2 ოქტომბერს მეჩაიეთა გამარჯვების აღსანიშნავად ზეიმის მოწყობისა და მომავალ წელს ახალი წარმატების მოსაპოვებლად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შესახებ.

— რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, — განაცხადა საუბარში პარტიის ბალის რაიკომის მდივანმა ამხ. ხ. ტუფურიამ, — მოეწყობა მშრომელთა მასობრივი სეირნობა, სპორტული ღონისძიებები, კონცერტები. მოხდება მოწონავე ადამიანთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

ზუგდიდელ მეჩაიეთა მიმართვის საპასუხოდ ბალელებმა გადაწყვიტეს 1960-1961 წლებში გააშენონ 450 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია, 1962 წლისათვის მთლიანად მოსპონ ჩაის პლანტაციების სიმეჩხერე.

წელს რაიონის მეჩაიეებმა სამშობლოს მისცეს 13.140 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.610 ტონისა. მომავალ წელს დიდად გადავჭარბებთ ამ მაჩვენებელს.

გარჯა, სიხარული...

ჩაის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა — ქობულეთელმა მეჩაიეებმა პირნათლად გაანალიზეს ნაკისრი ვალდებულება — 18.210 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 19.796 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

რაიონის მეჩაიეები დიდი მოწონებით შეხვდნენ ზუგდიდელ თანამოსაქმეთა შესანიშნავ წინადადებას, რომ ორი ოქტომბერი გამოცხადდეს ჩაის უხვი მოსავლის მოყვანაში მიღწეულ გამარჯვებათა საზეიმო დღედ.

ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონამასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. კირჩხელმა საუბარში თქვა:

— ჩაის უხვი მოსავლის მოყვანაში მიღწეულ გამარჯვებათა დღე — ორი ოქტომბერი გადაიქცევა ქართველ მეჩაიეთა ზეიმის ტრადიციულ დღედ. რაიონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ზეიმისათვის მზადება დაიწყო.

ენდე, მაგრამ შეამოწმე

დიდი ლენინი, მიგვითითებდა რა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში საზოგადოებრივი როლის ამაღლების საჭიროებაზე, წერდა: „სახელმწიფო ძალიერია მასების შეგნებულობით, იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, როცა თან შეუძლიათ ყველაფერზე იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად სჩადიან".

სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში მასების დარაზმვისათვის დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილებამ „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ", რაც ითვალისწინებს საწარმო-დაწესებულებებში, მშენებლობებსა და სახლმმართველობებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შექმნას. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს ეხება პროექტი კანონისა „საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ".

ამით მეტად საჭირო ნაბიჯი იქნა გადადგმული საბჭოთა კანონიერების განმტკიცების, სახელმწიფოებრივი მმართველობის ერთ-ერთი ფუნქციის შესრულებაში მასების მონაწილეობის ახალი ფორმის დასანერგავად.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სისლის სამართლის წესით აღძრული საქმეები ისეთ დანაშაულობებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ საზოგადოებრიობისათვის მნიშვნელოვან საშიროებას, ისპობა. ეს მოითხოვს იმას, რომ ფართოდ იქნას გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს წესრიგის დამრღვევთა აღზრდასა და გამოსწორებას.

დიდი ანგარიში ეწევა დამნაშავეთა სამუშაო ადგილიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივების შუამდგომლობას, რომ ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული, თავდებით გადასცენ მათს კოლექტივს, რომელიც იკისრებს ამ ადამიანების აღზრდას. ჩვენს პრაქტიკაში ცოტა როდია ისეთი მაგალითი, როცა ასეთი ზრუნვა და მხარდაჭერა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს დამნაშავე პირებზე, ხელს უწყობს მათ გამოსწორებას.

ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კოლექტივებში, სადაც თვითონ მშრომელები იღებენ აქტიურ მონაწილეობას მათთვის აღსაზრდელად გადაცემული პირების აღზრდა-გამოსწორების საქმეში, შედეგიც კარგია.

მიმდინარე წლის 9 მაისს ჰამლეტ კარპეს-ძე ვართანიანი მთვრალი მიუხტა მეზობელ მ. ჯანაშვილების ოჯახს, აგინა მათ უშვერი სიტყვებით და საცემრადაც მიიწია.

ჰ. ვართანიანის მიმართ აღძრულ იქნა სისლის სამართლის საქმე.

თბილისის მე-5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, სადაც ჰ. ვართანიანი მუშაობდა, შუამდგომლობა აღძრა 26 კომისრის სახელობის რაიმილიციის წინაშე, რათა ჰ. ვართანიანი მათ გადასცემოდა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა.

ჰ. ვართანიანმა სათანადო დასკვნები გააკეთა. მან გაამართლა კოლექტივის ნდობა. იგი ამჟამად ერთ-ერთი წესიერი მუშაა და გეგმებსაც სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ასეთი მაგალითები ერთეული როდია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეეფასებულთ ბრძოლა ბოროტმოქმედთა და საშიშ დამნაშავეთა წინააღმდეგ, იმათ მიმართ, ვისაც არა სურს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივად სასარგებლო ზრომაში. ისინი მკაცრად უნდა დაისაჯონ. ზოგიერთმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და კოლექტივებმა არასწორად გაიგეს პარტიის ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება და ზოგჯერ პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს წინაშე შუამდგომლობენ ისეთ გამოუსწორებელი რეციდივისტების შესახებ, რომლებიც წინათ ნამყოფი იყვნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ანალოგიური დანაშაულისათვის და ხელმეორედ ჩადიან იგი.

ორგანიზაციების და კოლექტივების შუამდგომლობანი სახალხო სასამართლოს წინაშე დამნაშავე პირების მათთვის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ დიდ დაკვირვებასა და ყურადღებას მოითხოვს. შუამდგომლობა სათანადოდ უნდა იყოს მოტივირებული. ზოგჯერ ეს ხდება ფორმალურად, ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ რა საქმის და ხასიათის დანაშაული აქვს ჩადენილი დამნაშავე პიროვნებას და გამართლებს თუ არა იგი კოლექტივის ნდობას.

სოხუმის თევზსაკერი საწარმო კოლექტივის საერთო კრებამ 1960 წლის 13 აპრილს მიიღო დადგენილება, რომლითაც სახალხო სასამართლოს თხოვდა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცა ამავე კოლექტივის წევრი ბრალდებული მ. დგებუაძე.

მასალებით დადასტურებულ იქნა, რომ მ. დგებუაძემ სხვა პირებთან ერთად გაძარცვა მოქ. ბ. გიგინეიშვილი.

აღსანიშნავია, რომ მ. დგებუაძე 1958 წელს გასამართლებული იყო ხულიგნობისათვის და მისჯილი ჰქონდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სახალხო სასამართლო სწორად მოიქცა, როდესაც თევზსაკერი საწარმოს კოლექტივს უარი უთხრა შუამდგომლობაზე. მ. დგებუაძეს მიეზღო სათანადო სასჯელი.

ვ. დუდოვი მუშაობდა 26 კომისრის სახელობის ქარხანაში საწყობის გამგედ. იგი ადრეც იყო შემჩნეული ლოთობასა და სახელმწიფო ქონების დატაცებაში. მიმდინარე წლის მარტში ვ. დუდოვი ჩვეულებისამებრ დათვრა და ჩაამტვრია ტრაქტორის ვაგონის მინები. როდესაც მას წესრიგისაკენ მოუწოდეს, ვ. დუდოვი არ დაემორჩილა მილიციის მუშაკს, უშვერი სიტყვებით აგინა და ერთ-ერთ სახალხო რაზმელს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა.

26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექციამ და კოლექტივმა შუამდგომლობა აღძრა ლენინის რაიონის მილიციის განყოფილების წინაშე, რათა ვ. დუდოვის მიმართ აღძრული საქმე მოსპობილიყო და იგი აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცათ ქარხნის კოლექტივისათვის. ქარხნის დირექტორმა დ. ყორეოლიანმა ვ. დუდოვს მილიციის განყოფილებაში წარსადგენად მისცა კარგი დახასიათება.

კოლექტივის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა, ვ. დუდოვის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მოსპო და იგი აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცა კოლექტივს.

ქარხნის კოლექტივს ეგონა, რომ ვ. დუდოვი სათანადო დასკვნებს გააკეთებდა, მაგრამ მოხდა პირიქით. ორი თვე არ გასულა ამ ამბიდან, რომ ვ. დუდოვმა ქარხნიდან გაიტაცა 17 ტონა ფურცლოვანი რკინა და, როგორც თვითონ განაცხადა, მიჰყიდა პირველი შექანიკური ქარხნის მე-6 საამქროს გამგეს ლ. მხჩიანს.

ვ. დუდოვი ამჟამად დაპატიმრებულია და სათანადო სასჯელსაც მიიღებს, მაგრამ ჩვენ გვინდა შევეკითხოთ 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექციასა და კოლექტივს, რატომ გამოიჩინეს დაუდგ
რობა, როდესაც აღძრეს შუამდგომლობა გამოუსწორებელი ლოთისა და სახელმწიფო ქონების გამფლანგველის ვ. დუდოვის მიმართ, ან შემდეგ რატომ არ განახორციელეს კონტროლი და არ იზრუნეს ვ. დუდოვის გამოსწორებისათვის?!

ს. ხუბეროვმა და ი. თათარაშვილმა 1960 წლის 18 თებერვალს ღამით გატეხეს მცხეთის ტურბაზის საწყობი და გაიტაცეს რამდენიმე ათასი მანეთის საქონელი, მცხეთის სასწავლო საწარმოო-კომბინატის კოლექტივის საერთო კრებამ, სადაც მძარცველი ხუბეროვი მუშაობდა მომარაგების მუშაკად და თათარაშვილი მექანიკოსად, მიმდინარე წლის 4 აპრილს სახალხო სასამართლოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ მძარცველები მაინ კოლექტივისათვის გადაეცათ აღსაზრდელად და გამოსასწორებლად.

მცხეთის სასწავლო-საწარმოო კომბინატის კოლექტივმა, რიდესაც შუამდგომლობდა, არ გაითვალისწინა, რომ ხუბეროვს და თათარაშვილს ადრე ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული. ხუბეროვი მსჯავრდადებული იყო სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის, ხოლო თათარაშვილი ორჯერ იყო გასამართლებული ქურდობისათვის და ორჯერ ხულიგნობისათვის.

სასამართლო სწორად მოიქცა რომ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო კოლექტივის შუამდგომლობა, უარი უთხრა და მძარცველებს ღირსეული სასჯელი მიუზღო.

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს:

ი. ჯაფარიძემ ბანდიტებთან კოლაბიასა და კვერსელავასთან ერთად მონაწილეობა მიიღო შეიარაღებულ ძარცვაში. მათ გაქურდეს მოქ. გ. მირცხულავას ბინა, საიდანაც გაიტაცეს დიდძალი ტანსაცმელი და ნივთები.

მესტიის რაისამომხმარებლო კოოპერაციის კოლექტივმა, სადაც ჯაფარიძე მუშაობდა, სახალხო სასამართლოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ იგი მათვის გადაეცათ აღსაზრდელად და გამოსასწორებლად. ცხადია, გამოუსწორებელი ბანდიტის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა არაფრით არ არის გამართლებული.

იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები არღვევენ სახელმძღვანელო მითითებებს და პროკურატურასა და სახალხო სასამართლომი, ერთპიროვნულად გზავნიან შუამდგომლობებს დამნაშავე პირთა საქმის კოლექტივისათვის გადაცემის შესახებ. ეს კანონის დარღვევაა. არსებული წესის მიხედვით შუამდგომლობის საკითხი განხილულ უნდა იქნას მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. იქვე უნდა დაადგინონ და გადაწყვიტონ შუამდგომლობის აღძვრის საკითხის მიზანშეწონილობა, რის შემდეგ უნდა გაფორმდეს ოქმი, რასაც ხელს მოაწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

1960 წლის ივნისში მშენებლობის სამინისტროს მანქანათგასაქირავებელი ბაზის № 5 ტრესტისაგან რესპუბლიკის პროკურატურაში შემოვიდა წერილი თხოვნით, რომ მათთვის აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცათ ბაზის მუშაკი ე. გელენიძე. შუამდგომლობას ხელს აწერდა ამავე ტრესტის მშენებლობის უფროსი გ. კალანდარიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ე. ბესონოვი, მთავარი ინჟინერი ი. უნგიაძე.

ეტყობა, ამ ამხანაგებმა გვერდი აუარეს კოლექტივს და ერთპიროვნული ხელმოწერით გამოგზავნეს შუამდგომლობა და მოითხოვეს გამოუსწორებელ მძარცველს შეფარდებოდა ისეთი სასჯელი, რაც პატიმრობასთან არ იქნებოდა დაკავშირებული.

როგორც გამოირკვა, ე. გელენიძემ ვ. მაისურაძესთან ერთად ორჯერ ჩაიდინა ქურდობა. ადრეც გელენიძე ორჯერ იყო ნამყოფი პასუხისგებაში ძარცვისა და ხულიგნობისათვის. ამის გამო, როგ გამოუსწორებელ რეციდივისტს გელენიძეს ჩადენილი ჰქონდა საშიში დანაშაული და ამავე დროს შუამდგომლობის აღძვრაში არ მონაწილეობდა კოლექტივი, რესპუბლიკის პროკურატურამ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

საჭიროა სათანადოდ გამოვიყენოთ საზოგადოებრიობის ძალა სამართლის ცალკეულ დამრღვევთა მიმართ, მიგაღწიოთ იმას, რომ საზოგადოებრივ კოლექტივებსა და ორგანიზაციებს განსახილველად გადაეცეს მხოლოდ იმ პირთა საქმეები, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიების შეფარდება აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

სამჭროთა მართლმსაჯულების ცხოვრებაში გატარებისათვის საჭიროა ერთი მხრივ პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოებმა და მეორე მხრივ საზოგადოებრიობამ სწორად გაიგონ და აითვისონ სამოქმედო კანონისა და დებულებების შინაარსი და გაერთიანებული ძალებით იბრძოლონ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

მ. თოფფურიძე,
საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორი.

წრეების „დაკომპლექტების" ბიუროკრატიული მეთოდით...

შეფუხდა პარტიული ბიუროს მდივანი რევაზ გოგიაშვილი: პოლიტწრეები და სემინარები კი დავაკომპლექტეთ, მაგრამ ჩვენ აღარაფერი დაგვტოვებია, სიები რაიკომში გადავგზავნეთ და რა გაჩვენოთო.

— იქნებ გვითხრათ, რა სახის პოლიტწრე და სემინარი მუშობს თქვენთან?

— პოლიტიკური ეკონომიის ერთი თეორიული სემინარი და სკკპ ისტორიის შემსწავლელი ორი წრე, აქ სულ 57 მსმენელი იქნება. სხვა რა სახის პოლიტწრეს დაგვიმტკიცებენ, არ ვიცი.

— დაამტკიცებენ კი?

— ასე გვითხრეს...

— პოლიტიკური განათლების ესა თუ ის ფორმა ხომ თვითონ მსმენელებს უნდა აერჩიათ?

მდივანი შეიშმუშნა, აღარაფერი უთქვამს. ნათელი იყო, რომ პოლიტიკური განათლების ფორმის არჩევანში ნებაყოფლობითი პრინციპი არ იყო დაცული. სიებს რაიკომიდან ელოდებიან.

კოლმეურნეობის კანტორაში შევხვდით კომუნისტ მარიამ ჭალიძეს. იგი მოანგარიშედ მუშაობს. ვკითხეთ მარიამს, პოლიტიკური განათლების რა ფორმა აირჩია. გვითხრა, იმავე სემინარში მინდა ვიმეცადინო, რომელშიც შარშან ვიყავიო. ვასაუბრეთ ამ კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორს კომუნისტ ვიქტორ გიგუაშვილს, რომელსაც სურვილი აქვს იმეცადინოს პოლიტწრეში, მაგრამ საყვედური გამოთქვა, რომ ამ საკითხზე მასთან არავის უსაუბრია... თუმცა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი თეორიული სემინარის მსმენელთა სიაში მისი გვარიც „აღმოვაჩინეთ".

— შარშან საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში ვიყავი და ახლა არ ვიცი სად ვიმეცადინებ, — გვითხრა კომუნისტმა გიორგი გიგუაშვილმა.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიული პროპაგანდის მასობრივობას, ამიტომ საჭიროა პარტიის გორის რაიკომი და მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება უფრო კონკრეტულად ხელმძღვანელობდნენ პარტიული პროპაგანდის ამ მნიშვნელოვან უბანს.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" ხაკ. კორ.

რამდენიმე სტრიქონით

□ **თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის** კოლექტივმა მოსკოვში საფეიერო ნაწარმის საკავშირო გამოფენაზე, რომელიც 15 ოქტომბრიდან დაიწყებს მუშაობას, გაგზავნა რვა სახის შალისა და შალნარევი საკოსტიუმე და საპალტო ქსოვილების ნიმუშები. მალე გაიგზავნება ახალი სტრუქტურისა და სახის 15 ქსოვილი.

□ **ერევანისის მეგოსტნეობის** საბჭოთა მეურნეობა ახალი ბოსტნეულით ამარაგებს თბილისს. წელს შარშანდელზე 450 ტონით მეტი ბოსტნეული ჩაებარა მეურნეობის კოლექტივმა. აქ გადაწყვიტეს 241 ჰექტარზე დათესონ საშემოდგომო და გარდამავალი კულტურები, რომ ზამთრის პერიოდში ქალაქის მოსახლეობას მიაწოდოს 1.900 ტონამდე ბოსტნეული.

პროფკავშირული ორგანიზაციების ანგარიშგება და არჩევნები

სსრ კავშირის პროფკავშირების წესდების შესაბამისად საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე პირველადი პროფორგანიზაციების ყველა რგოლში მოეწყოს ანგარიშგება და არჩევნები. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს ანგარიშგება და არჩევნები ჩაატარონ დამტკიცებული ინსტრუქციის სრული შესაბამისობით, შეიმუშაონ კალენდარული ვადები, გეგმა და კონკრეტული ღონისძიებანი.

უზრუნველყოფილ უნდა იქნას პროფკავშირული ორგანიზაციების ანგარიშგებისა და არჩევნების, კონფერენციების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოწყობა, განუხრელად დაცულ იქნას შინაპროფკავშირული დემოკრატია. აუცილებელია ფართოდ გაიშალოს საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსავლენებლად. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, თუ როგორ სრულდება სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი პროფკავშირთა მუშაობის გაუმჯობესების დარგში, როგორ სრულდება შვიდწლედის მეორე წლის სოციალისტური ვალდებულებანი საწარმოებში, მშენებლობებზე და საბჭოთა მეურნეობებში.

სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და კოლექტივების მოძრაობის ფართოდ განვითარებას.



კომუნისტი

მე-2 გვერდი. პარასკევი, 30 სექტემბერი, 1960 წ.

გზა კომპლექსურ მექანიზაციას — ჩაის პლანტაციებში

მეჩაიეობაში განვითარების საკითხი არასოდეს ისე ფართოდ არ მდგარა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე, როგორც ამჟამად. შვიდწლიანი გეგმით საქართველოს მეჩაიეებმა უახლოეს წლებში ძირითადად უნდა დაკმაყოფილონ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება სამამულო წარმოების ჩაიზე.

ამ საპატიო ამოცანის შესრულების საქმეში საქართველოს მეჩაიეებმა წელს შრომითი გმირობის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენეს, ნაცვლად ნაკისრი 145.000 ტონა ხარისხოვანი ჩაისა, მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 155.000 ტონა ნედლეული.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში, ისე მეჩაიეობაშიც. ჩაის პლანტაციების გაშენებისა და მოვლის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია საშუალებას იძლევა არა მარტო შეგამსუბუქოთ ადამიანის შრომა, არამედ მკვეთრადაც ავამაღლოთ მოსავლიანობის დონე, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, შევამციროთ მისი თვითღირებულება.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების სამუშაოთა მექანიზაცია მეჩაიეობის მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება. ამ მხრივ შედარებით კარგად არის დაყენებული საქმე მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 300 ჰექტარზე მოეწყო რიგთაშორისების კულტივაცია, 260 ჰექტარზე ღრმა ხვნა, 540 ჰექტარზე სასუქების შეტანა, 450 ჰექტარზე გასხვლა და 300 ჰექტარზე ფუმიგაცია.

ლაითურის საბჭოთა მეურნეობა იყო ერთ-ერთი პირველი ჩაის მეურნეობა, სადაც 5-6 წლის წინათ სამამულო წარმოების მანქანები აგუგუნდნენ და პირველი ჩაის ბუჩქები გასხლეს — შპალერული წესით. ამ დღიდან აქ ფართოდ ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. აქვე მანქანა პირველად შეეხო ჩაის ბუჩქებს და მექანიზმების საშუალებით მოკრიფა ჩაის მწვანე ფოთოლი. ლაითურისა და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის საკრეფი აპარატები და მანქანები სისტემატურ გამოცდაშია ახლაც.

მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ჩაის პლანტაციების მექანიზაციის დანერგვის საქმეს სოფლების ბობვაურის, ნაგომრის, ასკანის, მახარაძისა და სხვა კოლმეურნეობებმა, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა მოსავლიანობის ზრდა და ამავე დროს შემცირდა შრომის დანახარჯები. მაგალითად, სოფელ მახარაძის კოლმეურნეობაში ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის ხელით დამუშავება 378 მანეთი ჯდებოდა, ამჟამად მექანიზებული წესით დამუშავებისას 38 მანეთს ხარჯავენ, ჰექტარი ჩაის ბუჩქის ხელით გასხვლაზე 490 მანეთი იხარჯებოდა, ხოლო მანქანით გასხვლისას — 72 მანეთი იხარჯება.

იმისათვის, რომ საკულტივაციო, საფუმიგაციო, სასხვლავი და საკრეფი თვითმავალი მანქანები ეფექტურად იქნას გამოყენებული, საჭიროა პლანტაციების სათანადოდ, სამექანიზაციოდ მოწყობა, რასაც ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ჩაის სამექანიზაციო ფართობებში, სადაც საჭირო სიდიდის საქცევებია, მცირდება მანქანების უქმ სვლაზე დახარჯული დრო, საწვავი მასალის ხარჯვა, აღარ ზიანდება მანქანის ნაწილები და ამით იზრდება მანქანის წარმადობა.

სწორედ ამიტომ პლანტაციებში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მწკრივთაშორისების მანძილის დადგენას. საჭიროა პლანტაციებში მწკრივთაშორისები გაიწმინდოს ეკალბარდების, ბუჩქების, ხის ძირებისა და ქვებისაგან. პლანტაციებში მანქანებით მუშაობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ საგრანაჟო არხების მდგომარეობას, რადგან მანქანებით საგრანა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გენერალური ასამბლეის XV სესია

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია.

სხდომა დაიწყო 10 საათსა და 59 წუთზე ადგილობრივი დროით.

სხდომაზე პირველი გამოვიდა ურუგვაის დელეგაციის მეთაური ვ. აედო. მან გამოთქვა ლათინური ამერიკის ქვეყნების სიმპათია აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებისადმი და განაცხადა, რომ მათ აერთიანებს საერთო კავშირი.

ვ. აედომ ზოგადად ილაპარაკა ურუგვაელი ხალხის მისწრაფებაზე მშვიდობიანადმი. აზრი არა აქვს, თქვა მან, ახალი საყვარიანის აღმოჩენას, თუ ვერ უზრუნველვყოფთ მშვიდობას ჩვენს პლანეტაზე.

როგორც ლათინური ამერიკის სხვა დელეგატებმა, რომლებიც უკვე გამოვიდნენ სესიაზე, აედომ დიდი შეშფოთებით აღნიშნა პროცესი ლათინური ამერიკის ქვეყნების გაღატაკებისა იმის შედეგად, რომ მსოფლიო ბაზარზე სისტემატურად ეცვამა ნედლეულის ფასები. ლათინური ამერიკა, თქვა მან, იძულებულია დაეთანხმოს იმას, რომ მის ნედლეულში სულ უფრო მცირე ფასებს აძლევენ, მაშინ, როცა იმ სამრეწველო ნაწარმის ფასები, რასაც იგი თავისი ნედლეულის ანაზღაურების ანგარიშში იღებს, მთელ რიგ შემთხვევებში 15-ჯერ გადიდდა.

1945 წლიდან 1960 წლამდე ჩვენი ნედლეულის ფასების შემცირების შედეგად, აღნიშნა ვ. აედომ, დავკარგეთ სულ ცოტა 11 მილიარდი დოლარი. ეს უდიდესი თანხაა. ლათინური ამერიკის 200 მილიონი მოსახლეობა მოითხოვს თავისი სისხლისა და ოფლის სამართლიან ანაზღაურებას.

ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ურუგვაის დელეგაციის მეთაურმა, აღარ შეგვიძლია შევაჩეროთ მასების მისწრაფება სოციალური სამართლიანობისადმი.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კრაგმა თავისი სიტყვა დაიწყო განიარაღების პრობლემით. აღიარა რა, რომ განიარაღება დღეს ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხია საერთაშორისო პოლიტიკაში, კრაგმა დაიწყო მსჯელობა სუბიექტურ წონახწორობაზე და გაიმეორა [illegible]ცვეთილი თეზისი, რომ ასეთი წონასწორობა თითქოს მშვიდობის შენარჩუნების ძლიერი ფაქტორია.

განიარაღების პრობლემის ყველა ასპექტზე დანიის დელეგაციის მეთაური გამოვიდა ნატოს აგრესიული სამხედრო ბლოკის მონაწილის პოზიციიდან. იგი ამტკიცებდა, რომ განიარაღების საკითხზე ათი სახელმწიფოს კომიტეტის შემადგენლობას თითქოს მნიშვნელობა არა აქვს და რომ ეს კომიტეტი საერთოდ არ უნდა გაფართოვდეს. დანიის დელეგატმა არსებითად დუმილით აუარა გვერდი სსრ კავშირის ახალ წინადადებებს განიარაღების შესახებ და განაცხადა, რომ ისინი უნდა გადაეცეს ათი სახელმწიფოს კომიტეტს, როგორც სამუშაო დოკუმენტები. კრაგმა აღნიშნა, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უსიტყვოდ დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას განიარაღებისადმი კონტროლისა და ინსპექციის სისტემის შესახებ და მოუწოდა უპირატესობა მისცენ მას.

დანიის დელეგაციის მეთაურმა სუსტად განვითარებულ ქვეყნებს მოუწოდა კარი გაუღონ უცხოეთის კერძო კაპიტალის ფართო დინებას და მოითხოვა პროტექციონიზმის ღონისძიებათა ხაწილობრივი გაუქმება.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კვლავ დაადასტურა თავისი ქვეყნის პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის შესახებ. ადრე თუ გვიან, თქვა მან, ჩინელი ხალხი წარმოდგენილ იქნება ამ ორგანიზაციაში მთავრობით, რომელიც ახორციელებს ნამდვილ კონტროლს ჩინეთის ტერიტორიისადმი. არავითარი შეთანხმება განიარაღების შესახებ ეფექტიანი არ შეიძლება იყოს, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის ტოდორ ჟივკოვის გამოსვლის დასაწყისში სხდომაზე მოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი. ტრიბუნაზე ასულ ტოდორ ჟივკოვს ბევრი დელეგაცია ტაშით შეხვდა. ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში პირველად იღებენ მონაწილეობას ბევრი ქვეყნის უაღრესად პასუხისმგებელი ხელმძღვანელები. ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მარტო პატივისცემის გამოხატულება როდია. ეს მოწმობს აგრეთვე სერიოზულ და მეტად პასუხსაგებ დამოკიდებულებას ამ სესიის წინაშე დასახული პრობლემებისადმი, რომლებსაც მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის. იმედი ვიქონიოთ, რომ გენერალური ასამბლეის XV სესია ამ მხრივ შემობრუნების პუნქტი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში.

ჟივკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა და მისი მთავრობა არა მარტო განაგრძობენ სხვადასხვა ეკონომიური და სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. ეს საგარეო პოლიტიკა სავსებით შეესაბამება მის საშინაო პოლიტიკას — სოციალიზმის გზით ყოველმხრივი განვითარების, ხალხის მასების კეთილდღეობის დაკმაყოფილებების პოლიტიკას და წარმოადგენს მის განგრძობას.

აღნიშნა რა, რომ ბულგარეთი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბალკანეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობებს, ჟივკოვმა განაცხადა: ჩვენ ძმური დავუჭირეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას, რომ ბალკანეთი და აღრიატიკა გადაიქცნენ ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალ ზონად. ჩვენ მხარი დავუჭირეთ აგრეთვე რუმინეთის მთავრობის წინადადებას ბალკანეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების თათბირის მოწვევის შესახებ.

ჟივკოვმა ასამბლეას მოაგონა კონკრეტული და ფართო ღონისძიებანი, რომლებიც ბულგარეთის მთავრობას არაერთგზის წამოუყენებია ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის; თანდაუსწმელობის პაქტის დადება, ბალკანეთის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი შემცირება, საყოველთაო და სრული განიარაღების რაიონად ბალკანეთის გადაქცევა, ამ რაიონის ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოება. მიუხედავად ჩვენი ღონისძიებებისა, თქვა მან, ამ მიმართულებით მიღწეულია მხოლოდ დასაწყისი. ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ჩვენს წინადადებებს, რომლებიც ბალკანეთის ყველა სახელმწიფოს ინტერესებს ასახავენ, მათი მთავრობები კეთილმოსურნედ შეხვდებიან და დაეხმარებიან ბალკანეთში ვითარების გაუმჯობესების საქმეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან მინდა ერთხელ კიდევ ჩვენი მთავრობის სახელით მივმართო ბალკანეთის სახელმწიფოთა მთავრობებს, და კერძოდ თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებს, მოწოდებით — ვიმოქმედოთ ერთობლივად და ბალკანეთი, რომელიც ოდესღაც ევროპის დენთის სარდაფი იყო, საერთო ღონისძიებებით გადავქციოთ მშვიდობიან და წყნარ კუთხედ დედამიწაზე.

ჟივკოვმა აღნიშნა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის გენერალური ხაზი, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ახორციელებენ, დღეს სულ უფრო და უფრო მტკიცდება. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა, განაგრძო მან, არ დაგვენახა და სათანადოდ არ შეგვეფასებინა მეორე ხაზი საერთაშორისო ურთიერთობაში — გამალებული შეიარაღების, „ცივი ომის“ პოლიტიკის გაძლიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის გაზრდის, ანტიკომუნიზმის ალმით ხალხთა შორის ურთიერთგაგებისათვის ძირის გამოთხრის ხაზი.

აშკარად უნდა დავასახელოთ წარმომადგენლები ამ ხაზისა, რომელსაც ისინი ასეთი დაჟინებით იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ამ სესიაზეც. ესენი არიან იმპერიალისტური ძალები, ესენი არიან ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები და მათი პარტნიორი ქვეყნები ნატოში. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ გაიმარჯვეს სამხედრო წრეებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებში, რომელთა ზურგს უკან დგანან სამხედრო წარმოებით მატერიალურად დაინტერესებული მონოპოლისტები და მათთან დაკავშირებული წრეები, და გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენენ საგარეო პოლიტიკაზე. მეორე მხრივ, საერთაშორისო დაძაბულობის მუდმივ წყაროს წარმოადგენენ გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხები — მეორე მსოფლიო ომის მემკვიდრეობა. საჭიროა, თქვა ტ. ჟივკოვმა, მალე დადგეს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და მოწესრიგდეს დასავლეთ ბერლინის საკითხი. გერმანიის პრობლემის გადაჭრის გადადება აღარ შეიძლება.

ტ. ჟივკოვმა თქვა, რომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ სამართლიანად არ გადაიჭრა კორეის საკითხი. ჩვენ მხარს ვუჭერთ, განაგრძო მან, წინადადებას, რომ შეიქმნას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის კონფედერაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პროექტის საფუძველზე. რა თქმა უნდა, კორეის არავითარ გაერთიანებაზეზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება მანამდე, სანამ სამხრეთ კორეა ოკუპირებულია ამერიკის ჯარების მიერ.

კორეის საკითხის წარმატებით გადაჭრის პირველი პირობაა სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა.

აკაობრიობა დამშვიდებული ვერ იქნება, განაცხადა შემდეგ ტ. ჟივკოვმა, როცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა მილიტარისტული წრეები პროვოკაციებს სჩადიან და აგრესიულად მოქმედებენ დედამიწის ამა თუ იმ ნაწილში, და განსაკუთრებით როცა ამ მოქმედებას აცხადებენ ოფიციალურ სახელმწიფო პოლიტიკად. ჩვენ ვეთანხმებით საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ ამ სესიაზე განხილულ იქნას საკითხი „საყოველთაო მშვიდობისათვის საფრთხის შესახებ, რასაც ქმნის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება სსრ კავშირის წინააღმდეგ“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა შეუერთდეს ხალხთა სამართლიან განაჩენს, რომლითაც მათ დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების სამარცხვინო აგრესიული და პროვოკაციული მოქმედება.

კოლონიური სისტემის სრული და საბოლოო ლიკვიდაციის საკითხი, განაგრძო ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული კარდინალური საკითხია. უნდა განვაცხადოო, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მხარს უჭერს კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ იმ დეკლარაციის ყოველ სიტყვას, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ამ სესიაზე წარმოადგინა. ჩვენი აზრით, ეს დეკლარაცია განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტია. იმედი გვაქვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა კენჭს უყრის და მოიწონებს დეკლარაციას.

დადგა დრო, განაგრძო ჟივკოვმა, როცა დედამიწის ყოველ კუთხეში, ყველა ხალხისათვის უნდა გაიმარჯვოს თავისუფლებამ, სამართლიანობამ და ჰუმანიურობამ. კოლონიურმა მონობამ ადგილი უნდა დაუთმოს და გარდუვალად დაუთმობს ყველა ხალხს, დიდი და პატარა, შავკანიანი და თეთრკანიანი ხალხების თავისუფალ, დამოუკიდებელ და სუვერენულ განვითარებას. ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ ღონისძიებანი, რათა თვითონ ენახა სამის მდგომარეობა ჩვენში. ჩვენი სლავური სტუმართმოყვარეობა საყოველთაოდ ცნობილია, და გულწრფელად შეგიხდებით. ჩვენ არ მოვაწყობთ თქვენს წინააღმდეგ უბადრუკ დემონსტრაციებს, რადგან ეს უცხოა ჩვენი ხალხის არა მარტო სულისკვეთებისათვის, არამედ აგრეთვე შეუთავსებელია სტუმართმოყვარეობის ელემენტარულ წესებთან. მობრძანდით, რომ დარწმუნდეთ, თუ რა ენთუზიაზმით არიან გამსჭვალულნი ბულგარელი მუშები, გლეხები და მოსამსახურეები, მოსახლეობის ყველა ფენა, როგორ ამაყობენ ისინი თავიანთი სოციალისტური ცხოვრებით.

ილაპარაკა რა ბულგარეთის ეკონომიკის სწრაფ აღმავლობაზე, ტ. ჟივკოვმა ხაზგასმით აღნიშნა იმ დახმარების გადამწყვეტი როლი, რასაც ბულგარეთს საბჭოთა კავშირი უწევს. უანგარო დახმარება, განაცხადა მან, შეიძლება მხოლოდ ძმამ გაუწიოს ძმას.

შემდეგ ტ. ჟივკოვმა ილაპარაკა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეგრეთწოდებულ „დახმარებაზე“ სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი. ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილი ვიყოთ, განაცხადა ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა, როცა ამ „დახმარების“ თან ახლავს აშკარა ან შენიღბული პოლიტიკური და სამხედრო პირობები. ჩვენ ვერ შევუერიგდებით იმ ფაქტს, რომ ასეთი პირობები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ცალკეულ სახელმწიფოთა თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ჟივკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი დახმარება არ უნდა დაუკავშირდეს არავითარ პირველგეგის, არავითარ პოლიტიკურ ან სხვა პირობას. სწორედ ასეთია დახმარება, რასაც სოციალისტური ქვეყნები უწევენ სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს.

ჟივკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა საქმე ეხება კოლონიალიზმის სრულ ლიკვიდაციას და არა მისი ერთი ფორმის მეორე ფორმით შეცვლას. ჩვენი საუკუნე, განაგრძო მან, არის თავისუფლებისათვის ბრძოლის საუკუნე, ხალხის ძალების განთავისუფლების საუკუნე, კოლონიური სისტემის დაღუპვის საუკუნე. კოლონიური სისტემის დაშლა და სრული ლიკვიდაცია გარდუვალი კანონზომიერი პროცესია. რა ღონისძიებაც უნდა იხმარონ კოლონიზატორებმა, ისინი ამ პროცესს ვერ შეაჩერებენ. საბჭოთა კავშირის წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც ერთი წლის წინათ შეტანილ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიაზე, ამბობს შემდეგ ტ. ჟივკოვი, ისევე როგორც საბჭოთა მთავრობის ახალ წინადადებას განიარაღების შესახებ, მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისათვის, საერთაშორისო პორიზონტის გაწმენდისათვის. სწორედ საბჭოთა კავშირმა — დიდმა ქვეყანამ, რომელმაც ისტორიაში პირველად გაკაფა სოციალიზმის გზა, შემოიტანა ეს წინადადება. ეს აბსოლუტურად კანონზომიერია. საყოველთაო და სრული განიარაღების იდეას ფესვები აქვს თვით სოციალისტური წყობილების — ყველაზე პროგრესული და დიდად ჰუმანური საზოგადოებრივი წყობილების ბუნებაში, რომელმაც ბოლო მოუღო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, უკეთაგდო ზოგი ხალხის მიერ სხვა ხალხების დამონების იდეა, წყობილებისა, სადაც არ არიან არც ჯგუფები და არც ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული იყონ სამხედრო მრეწველობისა და სამხედრო მიწოდებათაგან მოგების დაგროვებით.

ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა ანალიზი გაუკეთა განიარაღების საკითხზე ათი სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობის ჩაშლის მიზეზებს. იმ დროს, თქვა მან, როცა დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები 10 სახელმწიფოს კომიტეტში წარმოთქვამდნენ სიტყვებს განიარაღებაზე, მათი მთავრობები, და უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ახორციელებდნენ სულ ახალ და ახალ ღონისძიებებს გამალებული შეიარაღების გაძლიერებისათვის, ატომური იარაღის მარაგის გადიდებისათვის, ახალი სამხედრო რაკეტული ბაზების გაფართოებისათვის. ყოველივე ეს, ხაზგასმით აღნიშნა ტ. ჟივკოვმა, სულაც არ მოწმობდა იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მთავრობებს ჰქონდათ სურვილი და გულწრფელი მისწრაფება განიარაღების პრობლემის ნამდვილი გადაჭრისადმი.

დასასრულ, ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ საჭიროა ყველა ქვეყნის ხალხის მასებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთო ღონისძიებებით ვაიძულოთ აგრესიული იმპერიალისტური წრეები ხელი აიღონ საშიშ ავანტიურისტულ კურსზე და ვიხსნათ კაცობრიობა საშინელი მსოფლიო კატასტროფისაგან, ტ. ჟივკოვმა განაცხადა: „აქ, ხალხთა ყველაზე წარმომადგენლობითს ფორუმში, არ შეგვიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიოთ საბჭოთა კავშირის კოლოსალური ენერგია, რომელიც მიმართულია მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისაკენ, მისი კონსტრუქციული წინადადებანი ჩვენი თანამედროვეობის მთავარი საკითხების გადაჭრის შესახებ. არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიოთ აგრეთვე პირადად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვი, როგორც დაუღალავი მებრძოლი ყველა ხალხის მშვიდობისათვის, ერთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის“.

ტ. ჟივკოვის გამოსვლის დასკვნის სიტყვებს ბევრი დელეგატი ტაშით შეხვდა. 13 საათსა და 50 წუთზე ადგილობრივი დროით გენერალური ასამბლეის დილის სხდომა დაიხურა.

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკდესი). დღეს 15 საათსა და 27 წუთზე ნიუიორკის დროით დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის დღის სხდომა, რომელზეც გრძელდება საერთო პოლიტიკური დისკუსია.

სხდომაზე პირველი გამოვიდა პანამის წარმომადგენელი.

პანამის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხორხე ილუეკამ განაცხადა, რომ პატარა ქვეყნებს შეუძლიათ შეასრულონ დიდმნიშვნელოვანი როლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც „შერიგების ფაქტორმა“ ორი ბლოკის ბრძოლაში.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორხე ილუეკამ მიუძღვნა პანამის არხის საკითხს. მან აღიარა, რომ 1903 წლის ხელშეკრულება, რომელმაც იურიდიულად დაამწესა ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობა პანამის არხზე, ბღალავს პანამის სუვერენიტეტს და მძიმე ეკონომიურ ტვირთად აწვება მას. იგი ცდილობდა გამოეხატა რაც შეიძლება უფრო რბილი გამოთქმები, მაგრამ მაინც მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ ამერიკის შეერთებული შტატების ჩაოვეას პანამის სანინაო საქმეებში, ლათინური ამერიკის ან პატარა ქვეყნის მოქალაქეთა დისკრიმინაციას.

ისევე როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნების სხვა წარმომადგენლებმა, პანამის დელეგატმა ილაპარაკა თავისი ქვეყნის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე და მოუწოდა დიდ სახელმწიფოებს ფინანსური დახმარება გაუწიონ ლათინურ ამერიკას. პანამის წარმომადგენელმა ამერიკის პრომპადგანდის არსენალიდან ნასესხები მთელი რიგი გამოხდომები დაუშვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ამავე დროს შორით აღნიშნა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა. იგი შეეხო 20-წლიან გეგმას, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიური განვითარების კოორდინაციას და მოუწოდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას შეიმუშაოს „საკუთარი გაბედული გეგმები“, რომლებიც სოციალისტური ბანაკის „გამოწვევის“ პასუხი იქნებოდა.

შემდეგ სიტყვა აიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სენინიმ, რომელიც ყოველნაირად ამართლებდა კოლონიური სახელმწიფოების იმ ცდას, რომ გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად, სენინიმ დაამტკიცა არსი კონგოს ამბებისა, სადაც იმპერიალისტებმა აშკარად სცადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების დახმარებით კონგოელი ხალხისათვის წაერთმიათ ახლახან მოპოვებული დამოუკიდებლობა. იგი სერიოზული სახით ირწმუნებოდა, რომ კონგოს ამბები გამოწვეულია იმით, რომ „ყველა ხალხს, რომლებიც განთავისუფლებას ეცდრაფვიან, ესმის დემოკრატიული მეთოდის უპირატესობანი“. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ქებას ასხამდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საქმიანობას და უწოდა მას ეფექტიანი და ნაყოფიერი, ამავე დროს, რასაკვირველია, არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ეს საქმიანობა ხელსაყრელი იყო მხოლოდ კოლონიზატორებისათვის.

სენინი ცდილობდა აგრეთვე დაეცვა ამერიკის ხელისუფალთა თვითნებური მოქმედება, რომელთა წაქეზებით შეიქმნა ცუდი პირობები მთელი რიგი დელეგაციების მუშაობისათვის. იგი ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდნენ თავიანთ მოვალეობას, იმ ქვეყნის მოვალეობას, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. უსიამოვნება, როგორც სენინიმ გამოთქვა, რაც ზოგიერთმა დელეგატმა განაცხადა, თითქოს იმის შედეგია, რომ შეერთებული შტატები თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალების მეტად ერთგულნი არიან.

შემდეგ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიოს ხალხების იმედები დაიმსხვრა იმის შედეგად, რომ ჩაიშალა უმაღლესი დონის თათბირი და განიარაღების შესახებ მოლაპარაკება ათი სახელმწიფოს კომიტეტში. განაცხადა რა, რომ მას განზრახვა არა აქვს ილაპარაკოს ამ ჩაშლის მიზეზებზე, სენინი მიუხედავად ამისა ცდილობდა საქმე ისე დაესახა, თითქოს საბჭოთა კავშირის ბრალი იყოს ათი სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობა რომ ჩაიშალა. სენინიმ განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება ნ. ს. ხრუშჩოვის იმ განცხადებას, რომ დასავლეთის სახელმწიფოები საბოტაჟს უწევდნენ მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, და ამტკიცებდა, რომ ათი სახელმწიფოს კომიტეტმა სასარგებლო მუშაობა გასწია. სენინიმ განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა მხარს უჭერს საყოველთაო და სრულ განიარაღებას მკაცრი კონტროლის დაწესების პირობებში. მაგრამ, დასძინა მან, ვცდილობთ რა მივაღწიოთ ამას, უნდა მივიღოთ შუალედური ეტაპების სახით ნაწილობრივი ღონისძიებანი განიარაღებისათვის, ისე რომ ისინი შეესაბამებოდეს საერთო განიარაღების მიზნებს და განამტკიცებდეს ურთიერთ უშიშროებას. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოითხოვა განახლდეს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ იმ პირობით, რომ დაუწესდეს ამ მოლაპარაკების უფრო მჭიდრო კავშირი გენერალურ ასამბლეასთან. ამასთან იგი ამტკიცებდა, რომ ეიზენჰაუერის სიტყვა სესიაზე თქოს კონსტრუქციული იყო და კარი გაუღო მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, თუმცა, როგორც აღნიშნა აქ ყველა მეთვალყურემ, სწორედ ამ საკითხებზე არ უთქვამს რაიმე ახალი ამერიკის პრეზიდენტს.

გენერალური ასამბლეის დღის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი სარდარი მუჰამედ ნაიმი. ჩვენ მიგვაჩნია, განაცხადა მან, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დაუყოვნებლივ უნდა დაიკავოს კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ნაიმმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, რომელიც ჩინელ ხალხს წარმოადგენს. ორგანიზაციის ინტერესებს არ შეესაბამება, განაგრძო ნაიმმა, რომ ეს დიდი ერი არ დაუშვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. არსებითად ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალურობის პრინციპია უარყოფა“.

გამოხატა რა პატარა ქვეყნების შიში იმის გამო, რომ გრძელდება დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში, ნაიმმა გენერალურ ასამბლეას მოუწოდა მიმართოს დიდ სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება საღი ატმოსფეროს შექმნისათვის, რაც ცივი ომის დასასრულის მომასწავებელი იქნებოდა.

ყოველი დღე, განაგრძო ავღანეთის წარმომადგენელმა, მოიტანს იმის ახალ დადასტურებას, რომ სასიცოცხლოდ საჭიროა მშვიდობიანი თანაარსებობა ხალხებსა და ქვეყნებს შორის. ამ ფაქტის უგულებელყოფა სავსებით გააუარესებს საერთაშორისო ვითარებას, გამოიწვევს შავბნელ და დამანგრეველ შედეგებს.

შეეხო რა კოლონიურ საკითხს, ავღანეთის დელეგაციის მეთაურმა აუარადღება მიაქცია შეუწყნარებელ მდგომარეობას ალჟირში. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ საფრანგეთის მთავრობა განზრახ აჭიანურებს ალჟირის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას. ნაიმმა იმედი გამოთქვა, რომ გენერალური ასამბლეის ეს სესია განიხილავს ალჟირის საკითხს და მიიღებს შესაბამის ღონისძიებებს იმ რეზოლუციების განსახორციელებლად, რომელთა მიზანია ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა. მან აგრეთვე იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს ხანში კონგოელ ხალხს ეყოლება თავისი კანონიერი მთავრობის წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

შეეხო რა თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ავღანეთს ძალიან ფაფალი ურთიერთობა აქვს ბევრ სახელმწიფოსთან. მან განაცხადა, რომ უთანხმოების აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ სერიოზული ღონისძიებებისა და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

სხდომის დასასრულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მიღებულ იქნენ მალის რესპუბლიკა და სენეგალის რესპუბლიკა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ორი ახალი წევრის მიღების გამო მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საფრანგეთის, ტუნისის, ცეილონის, ავღანეთის, პანამის, ნიგერიის, განის, ინდოეთის, ლიბერიის, გვინეის, ეთიოპიის დელეგატებმა. ალბანეთის, ბელორუსიის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინისა და რუმინეთის დელეგაციათა სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ წევრებს გულთბილად მიესალმა რუმინეთის წარმომადგენელი მეზინჩესკუ. სოციალისტურ ქვეყნებს მიაჩნიათ, თქვა მან, რომ ჩვენს ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება გააძლიერებს იმ ძალებს, რომლებიც ებრძვიან მშვიდობის საქმისათვის და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის. ჩვენ, აღნიშნა მან, მოხარული ვართ მივესალმოთ აქ აფრიკის კონტინენტის ორი ახალი სახელმწიფოს წარმომადგენლებს. ამ კონტინენტის ხალხები აწარმოებენ მტკიცე ბრძოლას იმისათვის, რომ საბოლოოდ აღმოიფხვრას კოლონიური სისტემა, რომელიც სამარცხვინოა კაცობრიობისათვის, რუმინეთის წარმომადგენელმა გამოთქვა რწმენა, რომ აფრიკის ახალ სახელმწიფოთა მიღებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაფართოება დადებით წვლილს შეიტანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე უნგრეთის დელეგაციის მეთაურთან იანოშ კადარით.

„ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა,—მიმართა იანოშ კადარს უნგრელთა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომ მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ჩვენ ამერიკაში გავატარეთ, შესაძლებლობა გვაქვს მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით ძველ უნგრულ ხალხს“.

შემდეგ შეკრებილთ მიმართა ი. კადარმა. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ბევრი უნგრელი იყო ამ ზაფხულს უნგრეთში. ი. კადარმა თქვა: „ცხადია ერთი რამ,— და ამაში თქვენ თვითონ დარწმუნდებთო, რომ უნგრეთშიც შეიძლება ცხოვრება და შესაძლებელია, უკეთესადაც, ვიდრე შეერთებულ შტატებში. მე მგონია, რომ შეერთებულ შტატებში შეიძლება კარგად მუშაობა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენთან სჯობს ცხოვრება“.

„ჩვენ,—განაცხადა იანოშ კადარმა,— ჩამოვედით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე იმისათვის, რომ ყველამ გაიგოს ჩვენი თვალსაზრისი. ეს მოხდება კიდეც. უნგრეთი პატარა ქვეყანაა და სწორია ისიც, რომ ჩვენ საუკუნით ჩამოვრჩით განვითარებულ ქვეყნებს“. მაგრამ, განაგრძო კადარმა, მიუხედავად ამისა, განვლილ 15 წელიწადში უნგრეთმა აღმოფხვრა ეს ჩამორჩენა.

შემდეგ გაიმართა განსაკუთრებით გულთბილი საუბარი იანოშ კადარსა, უნგრეთის დელეგაციის წევრებსა და იმ უნგრელებს შორის, რომლებიც უნგრეთის დელეგაციის მეთაურს ეწვივნენ.

კორეა მოეღის ნ. ს. ხრუშჩოვს

ფხენიანი, 29 სექტემბერი. (საკდესი). ამ დღეებში ფხენიანის საბჭოთა საელჩოს მოსდ

საერთაშორისო დეკადური, ცნობები, მიმოხილვა

ფიდელ კასტროს სამშობლოში დაბრუნდა

ჰავანა, 29 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სადამოს კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, რომელიც კუბის დელეგაციას მეთაურობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, სამშობლოში დაბრუნდა.

სუკარნო ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის აქ ჩამოვიდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო.

იორდანიის მეფე ჰუსეინი ნიუ-იორკს ჩავიდა

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო გადმოგვცემს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე იორდანიის დელეგაციისათვის მეთაურობის გასაწევად გუშინ ნიუ-იორკს ჩამოვიდა იორდანიის მეფე ჰუსეინი.

ფიდელ კასტროს პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე კუბის დელეგაციას მეთაურობდა, სამშობლოში გამგზავრების წინ ნიუ-იორკის აიროპორტში მოაწყო მოკლე პრეს-კონფერენცია. კასტრომ კორესპონდენტთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კუბაში დასაბრუნებლად იგი მიფრინავს საბჭოთა თვითმფრინავით, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ მოახდინეს კუბის აქ ჩამოსული ყველა თვითმფრინავის კონფისკაცია. „საბჭოთა კავშირი ჩვენი მეგობარია, — თქვა კასტრომ. — აქ კი, შეერთებულ შტატებში, ხელისუფალნი ჩვენს თვითმფრინავებს იტაცებენ“.

როცა ამერიკელმა კორესპონდენტმა კასტროს მისცა პროვოკაციული კითხვა, არ გეშინია განა, რომ კუბას საბჭოთა კავშირი „ჩაყლაპავსო“, კუბის პრემიერ-მინისტრმა უპასუხა: „კუბელ ხალხს ჯერ თავი ესოდენ თავისუფლად არასოდეს არ უგრძვნია“. მან ხაზგასმით აღნიშნა: მაშინ როცა შეერთებული შტატები დაინტერესებული არიან კუბაში მონოპოლიურ უფლებათა მიღებით, საბჭოთა კავშირი კუბას არავითარ მოთხოვნას არ უდგენს.

ს. იგონი სგუმრად ფ. კასტროსთან

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ხაირუს იტონი დღეს დილით ეწვია კუბის პრემიერ-მინისტრს დოქტორ ფ. კასტროს ჰარლემის სასტუმრო „ტერეზაში“.

შეხვედრის შემდეგ იტონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ფ. კასტრომ მასზე მოახდინა ისეთი ადამიანის შთაბეჭდილება, რომელიც ნამდვილად ერთგულია თავისი ხალხის საქმისა. იტონმა თქვა, ფ. კასტრომ მთხოვა ვეწვიო კუბას მეუღლითურთ და მე დავთანხმდიო.

ნიკო ლორთქიფანიძის

ნიკო ლორთქიფანიძის სახელი მეტადროდ არის დაკავშირებული უახლეს ქართულ მწერლობასთან. მან მიხეილ ჯავახიშვილთან, ლეო ქიაჩელთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად ნიადაგი მოუმზადა საბჭოთა ეპოქის ქართულ პროზას და თვითონაც ამ ლიტერატურის ერთ-ერთი შემოქმედი იყო.

ნ. ლორთქიფანიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რუსეთის პირველი რევოლუციის ბობოქარ დღეებში. იგი, როგორც მოქალაქე და შემოქმედი, ვერ დარჩებოდა შორიდან მაყურებელი ამ მძაფრი სოციალური ჭიდილისა და გაბედულად მიემხრო იმ ინტელიგენციას, რომელიც ებრძოდა ცარიზმს. იმავე ეპოქის ხასიათმა განსაზღვრა ნიკო ლორთქიფანიძის ესთეტიკური მსოფლმხედველობაც. მის შემოქმედებაში მტკიცედ მკვიდრდებოდა რეალიზმი, როგორც სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის ფორმა.

მწერლის ცნობილი მოთხრობა „ბრისხანე ბატონი“ მისი რეალისტური შემოქმედების ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია. ამ ნაწარმოების ყოველ დეტალში გაცოცხლებულია ცხოვრება თავისი სიხარულითა და ტკივილებით. აქ ვგრძნობთ ნამდვილი ხელოვნების ცხოველმყოფელ სიმშვენიერეს. ჩვენ თვალწინ მკვდრეთით დგებიან გარდასულ დროთა ხასიათები და სახეები თავიანთი სულიერი და ფიზიკური ცხოვრებით. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება „ეკამთა სიავეში“; აქ ცოცხალი ფერებით წარმოსახულია ადამიანის არა მარტო კარგი მხარეები, არამედ ცუდი თვისებანიც, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისათვის, რომელსაც მწერალი ეხება.

ციკლი „დანგრეული ბუდეები“ ჭეშმარიტად მხატვრული რეალიზმის მაგალითია ქართულ მწერლობაში. ნოველების ამ კრებულში მძაფრი ფერებით ასახულია ძველი, დრომოჭმული თავადაზნაურული ყოფის ნგრევა და მასზე აღმოცენებული სოციალურ-ფსიქოლოგიური სამყაროს დაშლა. „დანგრეული ბუდეებით“ ნიკო ლორთქიფანიძემ ურჩევნა, თუ როგორ პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდა თავადაზნაურობა ქართველი ხალხის ხარჯზე. მწერალმა გადაგვიშალა ამ პრივილეგიური წოდების დეგრადაციის სურათები. უზარმაზარი ივნინანი შენრბის ოდესღაც ულამაზესი ოთახი, რომელსაც ახსოვს კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვის სტუმრობა და ბალები, ღამურების ოაგშესფრად გადაქცეულა. ბარკეტი, რომელზედაც იმერეთის თავადაზნაურთა ულამაზეს ქალებს სიარულის დროს ფეხი უსხლტებოდათ, წვიმისაგან დახეთქილა და დამპალა. როიალი, რომლის კლავიშებსაც ბარონესას ლამაზი თითები შეხებია, ჭიებისაგან შეუმღია. ადგა როგორც უსარგებლო ნივთი. მწერალი დედებულად გვაგრძნობინებს, თუ როგორი გაცრუებული და დამსხვრეული იმედებით ცხოვრობდნენ ისინი, როგორ ელოდნენ რაღაცას, მაგრამ ამ მოლოდინით თითქოს ხელიდან გაეშვეს ხელსაყრელი პირობები საკუთარ განზრახვათა განსახორციელებლად, და როგორ დაიმსხვრა ხალხის ტანჯვით შექმნილი სიმდიდრე. „დანგრეული ბუდეების“ ადამიანები ხომ მუდამ იმაზე ოცნებობდნენ, რაც მათ აკლდათ. აიდეალებდნენ იმას, რაც მათ არ ჰქონდათ. არასოდეს არ განუცდიათ ნამდვილი სიყვარული. სამშობლო მათ ენის წვერზე ეკერათ სადღეგრძელოების დროს, მაგრამ თუკი სამშობლოს ინტერესები მსხვერპლს მოითხოვდა, ისინი გაურბოდნენ ამას.

ნიკო ლორთქიფანიძემ „დანგრეული ბუდეები“ დაამთავრა 1916 წელს. ამრიგად, მწერლისაგან ისტორიის მეკაცი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი რევოლუციამდე მოისმინა ქართველმა თავადაზნაურობამ.

ქართულ მწერლობაში სრულიად ახალ ფურცელს შლის ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები. მათ შორის ბრწყინავს „თავაზიანი დედაკაცი“.

მწერლის მეორე ნოველა—„ბუმბერაზები“ ყურადღებას იქცევს შინაგანი მხატვრული ექსპრესიით და მაღალი პატრიოტიზმით. ამ ნოველის მთავარი გმირს, გლები ფრანგულაშვილის ჭრილობები მეტყველებენ იმ მძიმე ბრძოლაზე, რომელიც ქართველებს უხდებოდათ დამპყრობელ ძალებთან. ჩვენი ქვეყანა ასეთი გმირების ძვლებზე შენდებოდა. მათი აჩრდილი თანამგზავრად დადევდა მთელ თაობებს და ყურში ჩასძახოდა გმირობისა და ვაჟკაცობის სიმღერას.

ფრიად საინტერესოა ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „გლეხის მოსახლეობა იმერეთში“. ამ ნოველაში ისმის მძაფრი გაკიცვა იმერეთის თავადაზნაურების მიართ, როგორც იმერეთის სიდუხჭირის მიზეზისა. „იმერეთში რამდენი კორტოხია, იმდენი ბატონია“—ამბობს ნიკო ლორთქიფანიძე. თავადაზნაურული იმერეთის ფონზე იმერელი გლეხკაცი მოჩანდა როგორც უუფლებო ადამიანი, მაგრამ ლაღი, მომლხენი, მშრომელი, პატიოსანი, პატრიოტი, ჰუმორის ნიჭით დაჯილდოებული, მკვირცხლი და ზრდილი. რაინდული იმერეთის ბუნება მთელი თავისი სრულყოფილობით აღწერა ნიკო ლორთქიფანიძემ და ხასიათების საშუალებით უკვდავყო მისი მდიდარი კოლორიტი.

მოთხრობა „კერიასათვის“ ხელოვნების ენაზე დაწერილი ერთი მთლიანი ფილოსოფიური ტრაქტატია—ერის, ოჯახისა და ადამიანის გამო. აქ ცხოვრებაა ნაჩვენები თავისი სიხარულითა და ტკივილებით. აქა ჩანს საჭირბოროტო საკითხები ძველი ცხოვრებისა, რასაც თავისი სიცოცხლე შეალია დიდმა ქართველმა ილია ჭავჭავაძემ. აქა სცემს ის ძარღვი, რომლის ხმასაც ყურს უგდებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. აქვეა ჩამარხული სატკივარი სოფლისა, რომლის გამოც ეკონ ნათქვამი: „ვაჰ სოფელო, რას გვაბრუნებო“. მაგრამ ქართველი სოფელი ბრუნვასაც სდევდა და თავის კერასაც არ ივიწყებდა. ათასგვარ ციცხლეში აწრთობდა ქართველი თავის სიკეთეს, ათას ნაღველს სვამდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ათას მწუხარებას ნახულობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ცხოვრებაზე გული არ აუყრია და ყოველთვის გაბედულად ღიღინებდა: „წუთისოფელი ესეა ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“. ცხოვრების ეს გაუსაზღვრელი სიყვარული მუდმივი თანამგზავრი იყო ქართველი ხალხისა. ცხოვრება უყვარდა მას გულწრფელად, უანგაროდ, უყვარდა, რადგანაც ქართველი კაცის შეგნებამ იცოდა, რომ, მიუხედავად კატასტროფებისა და უბედურებათა განუწყვეტელი ჯაჭვისა, სიკეთე სძლევდა ბოროტებას და ცხოვრებას ბნელს.



ნიკო ლორთქიფანიძემ რკინიგზის მუშათა ცხოვრებიდან დაწერა საკმაოდ ერეული მოთხრობა „ბილიკებიდან ლიანდაგზე“. ამ ნაწარმოებში მკვეთრად გამოჩნდა ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც მოქალაქე და მოწინავე ადამიანი. მწერალი მხატვრული ფერებით აცოცხლებს მებრძოლ მუშათა ნათელ სახეებს, რომლებიც გაბედულად მიდიოდნენ წინ, არ ეშინოდათ ციმბირისა და სახრჩობელის, ისინი მაღალი შეგნებით ამზადებდნენ ნიადაგს მომავალი სოციალისტური რევოლუციისათვის. ნიკო ლორთქიფანიძის დასახელებულმა თხზულებამ თავ-ზე ღრმა ჟვალი გაავლო უახლეს ქართული მწერლობის ყამირ მიწას, რომელიც მაშინ ესოდენ ღარიბი იყო რევოლუციური თემატიკით.

აღვნიშნავთ რა დღეს ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 80 წლისთავს, ჩვენ ისევ ვშლით ამ გამოჩენილი ბელეტრისტის თხზულებათა ფურცლებს, ვეგულებთ დიდ მწერალს, რომლის შემოქმედებაც მხატვრული აღზრდის ნამდვილ სკოლაა ყოველი მკითხველისათვის.

დიმიტრი გენაშვილი.

ქართული პროზის დიდოსტატი

ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 80 წლისთავის გამო.



„ბედნიერები“ მანქანებს იღებენ

თბილისი. მხუბუქი ავტომობილების მაღაზიაში დიდი გამოცოცხლებაა — „ბედნიერი“ ბილეთების მფლობელთ ლატარიაში მოგებული ავტომანქანები ეძლევათ.

თბილისელი დმიტრი კენკებაშვილი იღებს მის მიერ მოგებულ ავტომანქანა „ვოლგას“.

ლატარიაში მოგებულ ავტომანქანა „მოსკვიჩს“ იღებენ თბილისელი ავთანდილ ქეგბიშვილი და ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის უბნის უფროსი გიორგი პატარიძე.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ქარხანა „ელექტროგამშვების“ დამხმარე მუშამ თომა ჭინჭარაულმა წარადგინა ლატარიის ბილეთი, რომელსაც აგრეთვე ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ბევრმა „ბედნიერმა“ უკვე წარადგინა ბილეთები, რომლებმაც მოიგო საწოლი ოთახის გარნიტურები, პიანინოები, რადიოლები, ტელევიზორები, მაცივრები და სხვ.

მოგებათა მასობრივი გაცემა გრძელდება საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში.



პირველობა მძლეოსნობაში

** კრასნოდარში** რამდენიმე დღე გრძელდებოდა პროფკავშირების საკავშირო პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც საქართველოს სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, რომის ოლიმპიური ასპარეზობის პრიზორი ლეგ ტერ-ოვანესიანი სიგრძეზე გადახტა 7 მეტრსა და 68 სანტიმეტრზე და ჩემპიონობა მოიპოვა. თბილისის ლენინის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი რევაზ ჭოჩაკიძე მეორე ადგილზე გამოვიდა. მისი შედეგი 7 მეტრი და 55 სანტიმეტრი. თარჯრბენში 80 მეტრ დისტანციაზე პირველი ადგილი დაიკავა კოშელევამ, მეორე — გრინკალდმა, მესამე ადგილზე გამოვიდა თბილისელი ივანე